გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის
ოქმი №4

ქ. გარდაბანი 24 დეკემბერი 2025 წელი

12^{00} სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით- ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი გურულიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. შახადატ მეხრალიევი
2. ბეთქილ კახიანი
3. ლია მეტრეველი
4. იუსუფ მელაძე
5. არკადი ფანგანი
6. ისლამ მამედოვი
7. ზვიადი ქართლოსიშვილი
8. გიორგი გამეზარდაშვილი
9. საბაილ მამედოვი

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

2. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ღია კენჭისყრით ერთხმად დამტკიცდა დღის წესრიგი.

განხილული იქნა:

საკითხი 1.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გარდაბნის გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 9 დეკემბრის №18-1825343131 წერილით წარმოდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის პროექტი - „გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ".

წარმოდგენილი ბიუჯეტის თანახმად პრიორიტეტების მიხედვით ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის გათვალისწინებულია - 6,690.5 ათასი ლარი; მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება - 441.0 ათასი ლარი;

პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გარდა 2025-2026 წლების გარდამავალი პროექტების თანადაფინანსებისთვის გათვალისწინებულია:

სოფ.ნაზარლო-ჯანდარის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია - 22,200 ლარი;
სოფ.მარტყოფში შიდა გზების რეაბილიტაცია - 50,700 ლარი;
სოფ ვაზიანში შიდა გზების რეაბილიტაცია - 23,000 ლარი;
სოფ ახალსოფელში შიდა გზების რეაბილიტაცია - 21,900 ლარი;
სოფ ნორიოში შიდა გზების რეაბილიტაცია - 21,900 ლარი;
სოფ სართიჭალაში ბილიკის და სანიაღვრე არხის მოწყობა - 74,500 ლარი;
სოფ მარტყოფში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია - 93,600 ლარი;
სოფ მარტყოფში შოშიაშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია - 28,200 ლარი;

წყლის სისტემების განვითარება - 1,995.5 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია.

გარე განათება - 2,420.0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და ექსპლოატაცია.

მშენებლობა, ავარიული ობიექტების და შენობების რეაბილიტაცია - 554.0 ათასი ლარი;
პროგრამის ფარგლებში არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის გარდა გათვალისწინებულია 2026 წელს განსახორციელებელი პროექტისთვის თანადაფინანსების თანხა:

სოფელ აღთაქლიაში კორპუსების ფასადების და კანალიზაციის რეაბილიტაცია - 26,900 ლარი;

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისა და ექსპერტიზის ხარჯები - 1,280.0 ათასი ლარით. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის დამზადების ხარჯებისა და ექსპერტიზის ხარჯების ანაზღაურება. ასევე, მოხდება სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა -გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი -0

საკითხი 2.

კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის №18-1825351114 17.12.2025წ. წერილით წარმოდგენილი განკარგულების პროექტი - „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-17 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 2025 წლის 10 ოქტომბრის N85 განკარგულების საფუძველზე დაამტკიცა „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და გარდაბნის მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბრის ხელშეკრულება.

2025 წლის 15 ოქტომბერს მხარეებს შორის დამატებით გაფორმდა N1 შეთანხმება, რომლის თანახმად ცვლილება შევიდა აღნიშნული ხელშეკრულების პირველი მუხლის 1.1 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„გ) საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მცირე ინფრასტრუქტურული სამუშაოების, მათ შორის, შენობის ძირითადი აგრეგატების შეკეთების სამუშაოების, დაფინანსება/განხორციელება.“

აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა მოხდეს N1 შეთანხმების იმავე წესით დამტკიცება საკრებულოს მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი წარმოდგენილი ინიციატივის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანის შესახებ.

კენჭი ეყარა - „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საკითხის ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გატანას.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე -10
წინააღმდეგი -0

კომისიამ დაადგინა:

დამტკიცდეს და გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შევიდეს კომისიის სხდომაზე წარმოდგენილი საკითხები:

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

2. „საქართველოს რეგიონული განვითარების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტს შორის უფლებამოსილების განხორციელების დელეგირების შესახებ“ 2025 წლის 2 ოქტომბერს გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი გურულიშვილი